პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომა

სხდომის ოქმი N3
30 ნოემბერი, 2015 წელი
შეხვედრის ოქმი

შეხვედრის დასახელება	პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომა
შეხვედრის თარიღი:	30 ნოემბერი, 2015 წ.
შეხვედრის ადგილი:	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	**თანამდებობა**
ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე
რევაზ ჯაველიძე	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე
პაატა ჟორჟოლიანი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
მაია ჩიხლაძე	ა(ა)იპ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის გამგეობის წევრი; ქალ-მეწარმეთა ასოციაციის გამგეობის წევრი
შალვა ალავერდაშვილი	საქართველოს სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაცია
გოჩა ალექსანდრია	ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე
ირინე ინასარიძე	ა(ა)იპ ასოციაციის „ანიკა“ დირექტორი
ნინო ნარეშელაშვილი	ასოციაციების მართვის ცენტრის დირექტორთა საბჭოს წევრი
ეკა ლომინაშვილი	საქართველოს ფერმერთა ასოციაციის საინფორმაციო ცენტრისა და ლოჯისტიკის მენეჯერი
თემურ ყანდაშვილი	ა(ა)იპ კავშირის „„განათლება და კეთილდღეობა" გამგეობის თავმჯდომარე (კოალიციის ,,განათლება ყველასათვის“ გამგეობის წევრი)
ალექსანდრე ეჯიბაძე	ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული განათლების ფონდის გამგეობის თავმჯდომარე
დავით კალატოზიშვილი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ევროინტეგრაციის, რეფორმებისა და ინოვაციების დეპარტამენტის ევტოინტეგრაციის სამმართველოს უფროსი
ნინო ბერიანიძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის ეკონომიკური პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
მარიამ გელაშვილი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
თამარ ქიტიაშვილი	გაეროს განვითარების პროგრამის (UNPD) მრჩეველი პროფესიული განათლების საკითხებში
ოლივერ დიზი	ევროკავშირის პროექტის "დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება საქართველოში" ხელმძღვანელის მოადგილე/პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი

გიუნტერ დივალდი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების ექსპერტი
ანასტასია ქიტიაშვილი	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი -საქართველოს (MCA-Georgia) პროექტის ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი
ლელა მაისურაძე	ევროკავშირის პროექტის “დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება საქართველოში” პროფესიული განათლების ადგილობრივი ექსპერტი
ირინა წეროძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი
თამარ მახარაშვილი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
ნინო ელბაქიძე	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის მენეჯერი
თამარ სამხარაძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი
შეხვედრის მდივანი	
ნათია გვირჯიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

შეხვედრის დღის წესრიგი	
საკითხი #1	**მომხსენებელი**
„თვითდასაქმებისა და მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მიერ“ - კონცეფცია	**თამარ სამხარაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარატმენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.
საკითხი #2	
პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის რეგულირება	**ნინო ელბაქიძე** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის მენეჯერი.
საკითხი #3	
ელექტრონული სწავლება/ დისტანციური სწავლება - შესაძლებლობები და გამოწვევები საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში	**გიუნტერ დივალდი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, ქ-ნი ქეთევან ნატრიაშვილი მიესალმა პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომის

მონაწილეებს და გააცნო საბჭოს დღის წესრიგი. მან აღნიშნა, რომ სამინისტროსთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია საბჭოს წევრთა მოსაზრებები დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესახებ. ქ-ნმა ქეთევანმა განმარტა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი, კონცეფცია - „თვითდასაქმებისა და მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მიერ“ მომზადდა პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ, ხოლო დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი, „პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის რეგულირება“ დამუშავდა პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების თემატურ სამუშაო ჯგუფში. ქ-ნმა ქეთევანმა დასძინა, რომ საბჭოს სხდომაზე წარდგენილი იქნებოდა დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რადგან საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანია საბჭოს წევრების რეკომენდაციების და მოსაზრებების გათვალისწინება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი, კონცეფცია - „თვითდასაქმებისა და მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მიერ“ საბჭოს წევრებს წარუდგინა პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა, ქ-ნმა თამარ სამხარაძემ. მან განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში მუშავდებოდა პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ. მიმდინარე წლის აგვისტოში დოკუმენტი გაეგზავნა საბჭოს ყველა წევრს, რის შემდეგაც მოხდა დოკუმენტში მათი რეკომენდაციების ასახვა. თუმცა, სამინისტრო მზადაა კვლავ გაითვალისწინოს დოკუმენტთან დაკავშირებული მოსაზრებები. ქ-ნმა თამარმა ისაუბრა კონცეფციის მიზნებზე, ასევე განიხილა მეწარმეობა საკვანძო კომპეტენციების ჭრილში. მან მიმოიხილა ევროპული კონტექსტი და წარმოადგინა წარმატებული ქვეყნების მაგალითები, რის შემდეგაც, ქ-ნმა თამარმა მოკლედ მიმოიხილა მეწარმეობის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მიმდინარე კონტექსტი. მან სხდომის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და განმარტა, რომ მოდულური პროგრამების სავალდებულო კომპონენტი გახდა სამეწარმეო მოდული. სამინისტროს სურვილია, რომ სამეწარმეო განათლების ხელშეწყობა გახდეს უფრო მეტად სისტემური და მიზანმიმართული, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და თვითდასაქმებას. დასკვნის სახით, ქ-ნმა თამარმა საბჭოს წევრებს წარუდგინა რეკომენდაციები. მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინიციატივები სამეწარმეო განათლების კუთხით პასუხობდეს არსებულ გამოწვევებს. მაგალითისთვის აღნიშნა, რომ მიმდინარე ეტაპზე სამინისტრო მუშაობს ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვან ინიციატივაზე, ქვეყნის მასშტაბით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების და მათი განვითარების მიმართულებით. ინიციატივის განხორციელების კონტექსტში არ უნდა იქნეს შესწავლილი მხოლოდ დასაქმების პერსპექტივები, არამედ მნიშვნელოვანია თვითდასაქმებისა და საკუთარი ბიზნესის წამოწყების შესაძლებლობების შესწავლა.

ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ კონცეფციაში გაკეთებულია საკმაოდ კარგი ანალიზი და განმარტა, რომ პროფესიული განათლების მიზანი მხოლოდ დასაქმება არ უნდა იყოს, მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ სამეწარმეო კომპეტენციები და მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში თვითდასაქმების გზითაც. მან დასძინა, რომ სხვა პარტნიორ უწყებებთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში.

საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ასოციაცია „ანიკას“ დირექტორმა, ქ-ნმა ირინე ინასარიძემ. მისი მოსაზრებით, მნიშვნელოვანია მეწარმეობის სწავლებისას გათვალისწინებული იქნეს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები და მომზადდეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, რათა სამეწარმეო სწავლებისას გათვალისწინებული იყოს სპეცილური საგანმანათლებლო საჭიროებების პირთა საკითხები. აღნიშნულთან დაკავშირებით, ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა განმარტა, რომ სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია მოწყვლადი ჯგუფების საკითხი (განათლების ხელმისაწვდომობა, საგანმანათლებლო რესურსები), შესაბამისად მათი საჭიროებები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული მეწარმეობის სწავლების კუთხითაც.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხედვის თაობაზე, რომელიც დაკავშირებულია სოფლის განვითარების პროგრამასთან კომენტარი გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ქ-ნმა მარიამ გელაშვილმა. მან განმარტა, რომ სამეწარმეო განათლება იქნება აღნიშნული ხედვის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი. ქ-ნმა მარიამმა დადებითად შეაფასა საბჭოს წევრებისათვის წარდგენილი კონცეფცია და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იქნება სოფლის მეურეობის სამინისტროსთან თანამშრომლობაც, ვინაიდან ახლო მომავალში სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაინტერესებულ მხარეებს შესთავაზებს სოფლის განვითარების სტრატეგიას. ქ-ნი მარიამის მოსაზრებასთან დაკავშირებით ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოხარული იქნება თუ ჩაერთვება ზემოაღნიშნული სტრატეგიის თაობაზე ფორმირებული სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია პროფესიული კურსდამთავრებულებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა რესურსები, მაგალითად ფინანსები ბიზნეს იდეის განსახორციელებლად. იმ შემთხვევაში თუ საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევს, შესაძლოა ჩამოყალიბდეს თემატური სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ისეთ საკითხებზე, რამაც შესაძლოა თვითდასაქმების მაჩვენებლის ზრდას შეუწყოს ხელი.

მეწარმეობის სწავლების საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის გამგეობის წევრმა, ქ-ნმა მაია ჩიხლაძემ. მან დადებითად შეაფასა პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში მეწარმეობის მოდულის, როგორც ზოგად-სავალდებულო მოდულის დანერგვა. ასევე, მადლობა გადაუხადა სამინისტროს „თვითდასაქმებისა და მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მიერ“ - კონცეფციის შემუშავებისთვის. ქ-ნი მაიას აზრით, მნიშვნელოვანია სამომავლოდ განხორციელდეს კოლეჯებს შორის გამოცდილების გაზიარება მეწარმეობის მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით.

ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ სამინისტრო აგრძელებს მუშაობას მეწარმეობის მოდულის განვითარებასა და სამომავლოდ მის დახვეწაზე. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები გერმანიასთან, რათა განხორციელდეს საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში მეწარმეობის სწავლებისას სხვადასხვა მიდგომების საქართველოს რეალობაში გადმოტანის შესაძლებლობების განხილვა (სამეწარმეო ელექტრონული სიმულაციები, ვირტუალური კომპანიები და სხვა). მან დასძინა, რომ გერმანიაში მეწარმეობის სწავლებასთან დაკავშირებული სხვადასხვა კომპონენტი ხორციელდება არა მხოლოდ სასწავლებლის, არამედ დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობით.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი აქტივობების შესახებ სხდომის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდა ქ-ნმა ნინო ბერიანიძემ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს

ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის ეკონომიკური პოლიტიკის სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს არაფორმალური განათლების საკითხებს, იმისათვის, რომ მიკრო და მცირე მეწარმეებს განუვითარდეთ ბიზნესის დასაწყებად საჭირო კომპეტენციები. აღნიშნული მიმართულებით ჩართულია სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტო.

ახალგაზრდებში მეწარმეობის კომპეტენციების განვითარებისათვის ორგანიზებული აქტივობების შესახებ კომენტარი გააკეთა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ბ-ნმა რევაზ ჯაველიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გამოცდილება საზაფხულო სკოლებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ შესაძლოა საზაფხულო სკოლის მსგავსი მოდელი ასევე გაკეთდეს პროფესიული სტუდენტებისათვისაც. ბ-ნი რევაზის ინიციატივაზე კომენტარი გააკეთა ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს სტუდენტურ თვითმმართველობებთან, კარგი იქნება თუ ამ მიმართულებით მუშაობა გაიშლება პროფესიული სტუდენტების მხარდასაჭერად, რადგან არიან მოტივირებული სტუდენტები, რომელთაც აქვთ სურვილი ჰქონდეთ გაერთიანებული წარმომადგენლობა და მუშაობდნენ სხვადასხვა ინიციატივებზე. სწორედ ამ გზით შესაძლოა დაიგეგმოს საზაფხულო სკოლების ორგანიზებაც.

დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა, რომ სხდომის მონაწილეების მიერ მოწონებულ იქნა წარმოდგენილი კონცეფცია და პროფესიულ განათლებაში მეწარმეობის სწავლებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული აქტივობები. საბჭომ მიიღო რეკომენდაცია კონცეფციის საფუძველზე გაგრძელდეს მუშაობა სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, შესაბამისი თემატური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის რეგულირება წარმოადგინა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის მენეჯერმა ქ-ნმა ნინო ელბაქიძემ. მან აღნიშნა, რომ საკითხი დამუშავდა საბჭოს თემატური სამუშაო ჯგუფის მიერ და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის - „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება საქართველოში" მხარდაჭერით. ქ-ნმა ნინომ განმარტა, რომ საბჭოს წევრებისათვის შეთავაზებული რეგულაციის პროექტი არ წარმოადგენს უკვე საბოლოო ვერსიას, აღნიშულთან დაკავშირებით საჭიროების შემთხვევაში კვლავ გაგრძელდება დისკუსია. მან საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია დოკუმენტის მიერ შეთავაზებული რეგულაციებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის (შემდგომში მასწავლებელი) კატეგორიების შესახებ (დამწყები, პრაქტიკოსი, კოორდინატორი და მოწვეული მასწავლებელი). ქ-ნმა ნინომ განიხილა თითოეული მათგანი და აღნიშნა, რომ შეთავაზებული ვერსიის შესაბამისად დამწყებ მასწავლებელს არ მოეთხოვება, არც პედაგოგის და არც პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, რაც გულისხმობს იმას, რომ პროფესიულ კურსდამთავრებულს პირდაპირ ეძლევა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დამწყებ მასწავლებლად მუშაობის შესაძლებლობა. დამწყებ მასწავლებელთან ერთად აქტიურად მუშაობს კოორდინატორი მასწავლებელი, რომელიც პასუხისმგებელია დამწყებ მასწავლებელთან ერთად სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე. ქ-ნი ნინოს განმარტებით აღნიშნული მიდგომა დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან, თუმცა საკითხის დამუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების მოსაზრებები. კერძოდ, მათი სურვილი, სისტემაში დარჩნენ ახალგაზრდა კადრები, რომელთაც აქვთ შესაბამისი პროფესიული ცოდნა. ქ-ნმა ნინომ ასევე ისაუბრა მასწავლებელთა რეგისტრაციის პროცედურებისა და რეესტრის შესახებ. მან აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების კონცეფციის ამოქმედებისათვის საჭიროა წარმოდგენილი რეგულაციის შექმნა. თუმცა იმისათვის, რომ კონცეფციის დანერგვისათვის მთლიანი სისტემა ამოქმედდეს, აუცილებელია კიდევ დამატებითი დოკუმენტების შემუშავება და დამტკიცება.

საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ საბჭოზე წარმოდგენილი დოკუმენტი არის სამუშაო ვერსია. სწორედ იმიტომ ხდება საკითხის საბჭოზე განხილვა, რომ გათვალისწინებული იქნეს საბჭოს წევრების შენიშვნები. ქ-ნი ქეთევანის მოსაზრებით წარმოდგენილი მიდგომა არის ძალიან მოქნილი, რაც დადებითი ფაქტორია. თუმცა, მიდგომა რომელიც გულისხმობს მხოლოდ პროფესიაში შესაბამისი განათლების შემთხვევაში პირის დამწყებ მასწავლებლად მუშაობის შესაძლებლობას დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან. პირველ რიგში, დაბალ ასაკობრივ ზღვართან, რაც ეჭვქვეშ აყენებს მის შესაძლებლობას ასწავლოს პროფესიულ სტუდენტებს (რომელთა ასაკობრივი ჯგუფი ძალიან მრავალფეროვანია) და შემდეგ ობიექტურად შეაფასოს ისინი. ქ-ნი ქეთევანის მოსაზრებით დამწყები მასწავლებლისათვის უნდა დარეგულირდეს ასაკობრივი ზღვარი და სავალდებულო უნდა გახდეს მინიმუმ პედაგოგიური კურსის გავლა. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სწავლებისათვის საჭირო კომპეტენციები, რაც პედაგოგიური კურსის გავლის აუცილებლობას კიდევ უფრო ცხადყოფს. შესაბამისად, უნდა მოიძებნოს შუალედური მიდგომა, რაც არც პროფესიონალი კადრების გადინებას გამოიწვევს და არც სწავლების ხარისხზე აისახება.

დამწყები მასწავლებლის თაობაზე პოზიცია დააფიქსირა საქართველოს სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის წარმომადგენელმა, ბ-ნმა შალვა ალავერდაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ტურიზმის სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, იმისათვის რომ მასწავლებელი ჩაერთოს პედაგოგიურ საქმიანობაში, აუცილებლად უნდა ქონდეს სფეროში მინიმუმ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება. შესაბამისად, მისი მოსაზრებით დამწყები მასწავლებლის რეგულირების საკითხი, განსაკუთრებით პრაქტიკულ ნაწილში საჭიროებს გადახედვას.

დამწყები მასწავლებლის შესახებ მოსაზრებები გამოთქვეს სხდომის სხვა მონაწილეებმაც, რომელთა უმეტესობა დაეთანხმა დამწყები მასწავლებლისათვის ასაკობრივი ზღვარის დაწესებას ან დამწყები მასწავლებლის პრაქტიკული გამოცდილების და სავალდებულო პედაგოგიური კურსის გავლის აუცილებლობას.

დისკუსიის შედეგად, ქ-ნმა ქეთევანმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებების თანახმად შესაძლოა საწყის ეტაპზე დამწყებმა მასწავლებელმა იმუშაოს მასწავლებლის თანაშემწედ, მას პარალელურ რეჟიმში მოეთხოვოს სამუშაო გამოცდილების აკუმულირება, როგორც პედაგოგიურ საქმიანობაში, ასევე შესაბამის სფეროში. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ კი დამწყებ მასწავლებელს მიეცემა უშუალოდ დამოუკიდებლად სწავლების შესაძლებლობა. ქ-ნმა ქეთევანმა კომენტარი გააკეთა ასევე მასწავლებლის კატეგორიიდან კატეგორიაში გადასვლის მოთხოვნების დეტალური დამუშავების აუცილებლობის შესახებ.

მასწავლებელთა პრაქტიკული გამოცდილების შესახებ ისაუბრა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ქ-ნმა თამარ მახარაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან პროფესიული განათლების სისტემა გადადის მოდულურ სისტემაზე, რომელიც უფრო

მეტად ორიენტირებულია პრაქტიკულ სწავლებაზე, აუცილებელია მასწავლებელს ჰქონდეს შესაბამის სფეროში პრაქტიკული გამოცდილება, იქნება ეს დამწყები საფეხურის თუ შემდგომი საფეხურის მასწავლებელი. ამასთან მნიშვნელოვანია დამსაქმებლებმა გაითავისონ მათი როლი მოდულური მიდგომის დანერგვისას, როგორც პროგრამების შემუშავების, ასევე მასწავლებელთა პრაქტიკული გამოცდილების თვალსაზრისით.

ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა საკითხის შეჯამების სახით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია საბჭოს თითოეული წევრი დეტალურად გაეცნოს წარმოდგენილ დოკუმენტს და მოხდეს სამინისტროსთვის წერილობითი სახით შენიშვნების გაზიარება. ასევე, თუ იქნება შესაბამის თემატურ სამუშაო ჯგუფში ჩართვის სურვილი მნიშვნელოვანია ეს დაფიქსირდეს საბჭოს სამდივნოსთან, რათა მოხდეს ჩართულობის ორგანიზება. ამასთან, საბჭოს წევრთა რეკომენდაციებიდან გამომდინარე, მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტის დამუშავება და დამუშავებული ვერსიის საბჭოს შემგომ სხდომაზე კიდევ ერთხელ წარდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი, ელექტრონული სწავლება/ დისტანციური სწავლება - შესაძლებლობები და გამოწვევები საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში, წარმოადგინა პროფესიული განათლების ექსპერტმა, ბ-ნმა გიუნტერ დივალდმა. მან აღნიშნა, რომ საკითხზე მუშაობს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი და აღნიშნული მიმართულება შესაძლოა გახდეს საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის ნაწილი. ბ-ნმა გიუნტერმა განმარტა ელექტრონული სწავლების რაობა და დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია ელექტრონული სწავლების მიმართულებებსა და საერთაშორისო გამოცდილებაზე. მან ასევე ისაუბრა პროფესიული განათლების კუთხით საქართველოში ელ-სწავლების კონტექსტში უკვე განხორციელებული აქტივობების შესახებ. ბ-ნმა გიუნტერმა აღნიშნა, რომ მისი პრეზენტაციის მიზანი იყო საბჭოს წევრებისათვის მიეწოდებინა მოკლე ინფორმაცია იმ საკითხზე, რაზეც დეპარტამენტი მუშაობს და დასძინა, რომ დასრულებისთანავე კონცეფცია კიდევ ერთხელ იქნება წარმოდგენილი საბჭოს წევრებისათვის საბოლოო სახით.

ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა, კომენტარი გააკეთა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ელექტრონული სწავლება არის ძალიან მნიშვნელოვანი და დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებულია. მისი მოსაზრებით დოკუმენტების შემუშავებისას, ძალიან მნიშვნელოვანია საბჭოს წევრების შენიშვნები და რეკომენდაცია, რათა სამინისტრომ საწყის ეტაპზე გაითვალისწინოს სოციალური პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების პოზიცია.

ელექტრონული სწავლების საკითხზე კომენტარი გააკეთა ასევე პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ქ-ნმა ირინე წეროძემ. მან განმარტა, რომ ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრებისათვის ძირითადი მიმართულებების გაცნობა. ქ-ნმა ირინემ აღნიშნა, რომ უკვე არსებობს კონცეფციის სამუშაო ვერსია, რომელიც კიდევ საჭიროებს გადახედვას და დახვეწას. მას შემდეგ, რაც დასრულება მუშაობა, შესაძლებელი იქნება კონცეფციის უფრო დეტალური განხილვა.

სხდომა შეაჯამა და დახურულად გამოაცხადა ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილი.